ევროკავშირი საქართველოსთვის
The European Union for Georgia

სოფლის განვითარების სააგენტო

GEORGIA FinExCoop

AFD AGENCE FRANÇAISE DE DÉVELOPPEMENT

ევროკავშირის მიერ მხარდაჭერილმა პროექტმა "FinExCoop საქართველომ" და სოფლის განვითარების სააგენტომ კოოპერატივების თემაზე პირველი სამუშაო შეხვედრა გამართა

8-ოქტომბერი, 2020, თბილისი - ევროკავშირის მიერ მხარდაჭერილმა ENPARD-ის პროექტმა "FinExCoop საქართველომ" და სოფლის განვითარების სააგენტომ (RDA) კოოპერატივების თემაზე პირველი სამუშაო ჯგუფის ვირტუალური შეხვედრა გამართა. შეხვედრის მიზანს წარმოადგენდა მთავრობის წარმომადგენლების და სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების შეკრება და საქართველოში კოოპერატივების გამოწვევების და განვითარების შესაძლებლობის განხილვა.

შეხვედრის დროს დაინტერესებულმა მხარეებმა განიხილეს რამდენიმე ძირითადი მიმართულება, რომელთა შემდგომი მხარდაჭერა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარებისთვის მნიშვნელოვანია, კერძოდ: ხელმისაწვდომობა ტექნიკაზე, ბიზნეს საქმიანობის ცოდნა, გადამუშავება, ბრენდინგი და საწყობის მართვის საკითხები. მონაწილეებმა განსაზღვრეს ამ გამოწვევების გადაჭრის გზები და შეთანხმდნენ, წარმატებული ისტორიების, ასევე კოოპერატივების განვითარების საუკეთესო ევროპული და საერთაშორისო პრაქტიკის გაზიარებაზე.

"ერთ-ერთი მთავარი მიზანი არის კოოპერატივების თავმჯდომარეების და წევრების ინფორმირებულობის გაზრდა. მნიშვნელოვანია, რომ მათ კარგად იცოდნენ ახალი ტექნოლოგიები და საგადასახადო საკითხები." - განაცხადა კოოპერატივების განვითარების განყოფილების უფროსმა, ნინო ფირცხალავამ.

"საქართველოში კოოპერატივებისთვის განვითარების ხელშესაწყობად, ჩვენ ერთად უნდა ვიმუშავოთ და საუკეთესო მაგალითები ავიღოთ წარსულიდან და აწმყოდან, ვნახოთ რამ იმუშავა და რამ არა. ვისწავლოთ ისეთი ქვეყნებიდან, როგორიცაა საფრანგეთი, რომელიც კოოპერატივების განვითარების მხრივ წამყვანი ქვეყანაა მსოფლიოში." განაცხადა FinExCoop საქართველოს ჯგუფის ხელმძღვანელმა, კრისტოფ კორდონიემ .

შეხვედრის ბოლოს, სხვადასხვა ორგანიზაციების წარმომადგენლებმა კოოპერატივების განვითარების შესახებ დამატებით იმსჯელეს და კოოპერატივების განვითარების სამუშაო ჯგუფში აქტიური მონაწილეობის სურვილი გამოთქვეს.

შეხვედრას ესწრებოდნენ შემდეგი ორგანიზაციების წარმომადგენლები: ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში, ლიბერთი ბანკი, USAID, CARE, IFAD, FAO, Crystal, JICA, USDA, Land of Lakes, Mercy Corps, UNDP, ISET, GBDC კავკასიის ახალციხე, ასოციაცია ერთობა, FERT და საქართველოს ბანკი.

პროექტი „AFD-ENPARD-ის სოფლის მეურნეობის დაფინანსების ხელმისაწვდომობის პროგრამა, მცირე, ნახევრად კომერციული მეურნეობისთვის და კოოპერატივებისთვის“ (FinExCoop Georgia) დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ სოფლის მეურნეობის და სოფლის განვითარების ევროპული სამეგობლო პროგრამის (ENPARD) და Agence Française de Développement (AFD) მიერ და მას ახორციელებს ფრანკფურტის ფინანსთა და მენეჯმენტის სკოლა, Mercy Corps-ის, RDFG-ის და Chambre Agriculture de Loiret-ის პარტნიორობით. ოთხწლიანი პროექტი „ფინანსები, გაფართოება და კოოპერატივების განვითარება ქართველი ფერმერებისთვის (FinExCoop Georgia), რომლის ჯამური ბიუჯეტი 4 მილიონი ევროა, მიზნად ისახავს სოფლის მეურნეობის ფინანსებთან წვდომის გაუმჯობესებას მცირე მასშტაბური კომერციული მეურნეობებისა და კოოპერატივებისათვის საქართველოში. ეს პროექტი გლობალური პროგრამის ნაწილია, რომელიც მიზნად ისახავს ფინანსური ინკლუზიურობის გაუმჯობესებას და მცირე მასშტაბის კომერციული ფერმერების ბაზარზე შესვლას. პირველი კომპონენტი დაფინანსებულია AFD–ს შვილობილი კომპანიის Proparco–ს მიერ, რომლის ფარგლებშიც, კერძო სექტორის ხელშეწყობისთვის, აგროკრედიტის ხაზი ორ მთავარ საფინანსო ინსტიტუტზე გაიცა.

ევროკავშირი მხარს უჭერს სოფლის მეურნეობასა და სოფლის განვითარებას საქართველოში ENPARD-ის პროგრამის დახმარებით. პროგრამა ხორციელდება 2013 წლიდან საერთო ბიუჯეტით 179.5 მილიონი ევრო. მისი ძირითადი მიზანი საქართველოში სოფლად ეკონომიკური შესაძლებლობების შექმნა და სიღარიბის დაძლევაა. მეტი ინფორმაციისათვის ეწვიეთ ENPARD-ის ვებ–გვერდს: www.enpard.ge.

საკონტაქტო პირი:
თინათინ ჭულუხაძე, მერსი ქორფსი, FinExCoop საქართველო, 599 201555, Tichulukhadze@gmail.com